განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2022 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ძირითადიმაკროეკონომიკურიმაჩვენებლები

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პარამეტრები:

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებინომინალურ გამოხატულებაში 15 689,4 ათას ლარს შეადგენს.2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით **2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 5426.2ათასი ლარით (52.87%-ით).**

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 091.4 ათასი ლარით;**

  2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 25%-ით (1 218,2ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9 600 ათას ლარს;**

  2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 6,6%-ით (600 ,0 ათასი ლარით) იზრდება.

2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 125,0 ათასი ლარით,

- **სხვა შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებელი განისაზღვრა 1 800 ათასი ლარით.**

  2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით სხვა შემოსავლები გაზრდილია 20%-ით(300 ათასი ლარით), მათ შორის:

  - ✓ **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1 630 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:**

  - პროცენტები 300 ათასი ლარი.

    2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 40%-ით (200 ათასი ლარით) მცირდება.

  - რენტა 1 330 ათასი ლარი;

    2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 58 %-ით (490 ათასი ლარით) იზრდება.

- ✓ **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 130 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:**

  - სანებართვო მოსაკრებლები 55 ათასი ლარი;

  - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 75 ათასი ლარი;

- ✓ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 40 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:**

  - **შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან(ჯარიმები და საურავები) - 40,0 ათასი ლარი;**

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელებისმოცულობა შეადგენს 17 616.4 ათას ლარს (2021 წლის გეგმასთან შედარებით იზრდება1 996,7 მლნ ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით:

- **მესტიის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობის და დაფინანსების გაზრდით,**
- **პანდემიის გამო საწვავის და სხვა ნედლეულის ფასების მომატებით.**

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 6 565 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია- 1 050 ათასი ლარი;**

განხორციელედება მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გზების მშენებლობა რეაბილიტაცია:

  - ✓ **წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** -150,0 ათასი ლარი;

  განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

  სოფ.ადიშში წყლის და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.

  - ✓**გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია- 550,0 ათასი ლარი;**
  - ✓ **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია- 100 ათასი ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ.**
  - ✓ **თანადაფინანს**
  - ✓ **მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა -2 172 ათასი ლარი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:**
  - **მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა - 300 ათასი ლარი**
  - **სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები - 500,0 ათასი ლარი.**
  - **საცხოვრებელი სახლებისა და ძველი სვანური მაჩუბების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის თანადაფინანსება - 800 ათასი ლარი**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 300 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1 300 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაბის და სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება -გატანა .

  - ✓ **კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში - 300,0 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდებამუნიციპალიტეტში კეთილმოწყობითი სამუშაოები, ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა.

- **განათლება - 1 320 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი განათლება - 1 320 ათასი ლარი;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი- 2053 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 850 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით.

  - ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1 203 ათასი ლარი**

    პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 819 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება- 65 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;· მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

  - ✓ **სოციალური პროგრამები - 689 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:**
    - ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა- 30 ათასი ლარი;
    - მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა-260 ათასი ლარი;
    - ვეტერანთა(ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა - 10,0 ათასი ლარი
    - ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა -190 ათასი ლარი
    - სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება -124 ათასი ლარი
    - შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება- 80 ათასი ლარი
    - უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა -50 ათასი ლარი
    - ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა -10 ათასი ლარი
- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები -** 5 659.4 **ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1 151,9ათასი ლარი;
  - ✓ მერია - 3 676,3ათასი ლარი;
  - ✓ სარეზერვო ფონდი - 300 ათასი ლარი;
  - ✓ მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა -385 ათასი ლარი

მათ შორის: პროცენტი 105 ათასი ლარი, ვალდებულების კლება - 280 ათასი ლარი.

- ✓ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 96.2 ათასი ლარი
- ✓ საგანგებო ბიუჯეტი -50 ათასი ლარი

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტის2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**17 616.4**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**5 659,4**
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 151.9
01 02	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	3 676.3
01 03	სარეზერვი ფონდი	300
01 04 02	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	385
01 05	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	96.2
01 06	საგანგებო ბიუჯეტი	50
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**6 465**
02 01 01	გზების და ხიდების რეაბილიტაცია	1 050
02 02 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	550
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	150
02 03	მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	2 172
02 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგ ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100
02 06	რეგფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფ.	2 393
02 08	სამოქალაქო ბიუჯეტი	50
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1 300**
03 01	ა.ა.ი.პ „დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“	1 300
04 00	**განათლება**	**1 320**
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1 320
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2053**
05 01 01	ა.ა.ი.პ „სპორტული სკოლების გაერთიანება“	850
05 02 04	ბიბლიოთეკების დაფინანსება	80
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	193
05 05	ა.ა.ი.პ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	80
05 06	ა.ა.ი.პ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი	700
05 07	ა.ა.ი.პ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაც შან ლანდ	150
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**819**
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	65
06 02 01	ბავშვთა და შეზღ. შესაძლებლ. მქონე პირთა სოციალური დაცვა	30
06 02 02	მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა	260
06 02 03	ვეტერანთა(ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა	10
06 03	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	190
06 04	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება	124
06 05	შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება	80
06 06	უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა	50
06 07	ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა	10

მესტიის მუნიციპალიტეტის2022 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდაფუნქციონალურ ჭრილში

- ➢ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5 659.4ათასი ლარი;
- ➢ თავდაცვა - 96.2ათასი ლარი;

- ეკონომიკური საქმიანობა - 6 015 ატასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 1 300ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 700 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 145 ათასი ლარი;
- განათლება - 1 320 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 674 ათასი ლარი;

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2022-2025 წლები);
2. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შესახებ;
3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი